ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 40

ქ. ჯვარი **10 აპრილი 2023 წელი**

დამკვეთი: სსიპ კოლეჯი „ლაკადა“, წარმომადგენელი მისი - დირექტორის მ/შ თეანა ქუხილავას სახით.
მისამართი: ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ № 2.
ტელ: 595 50 67 32
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი:TRESGE22.
საიდენტიფიკაციო კოდი - 242728679;

შემსრულებელი: ი/მ „ონისე გულორდავა“ წარმომადგენელი მისი - ონისე გულორდავას სახით.
მისამართი - ქ. ზუგდიდი, სოფ ჭკადუაში
ტელ:
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“, კოდი: TBCBGE22;
ანგ #GE13TB7277236010100015

საიდენტიფიკაციო კოდი: 19001026570

ერთის მხრივ, „დამკვეთი“ და მეორე მხრივ „შემსრულებელი“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე -3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1] ” ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1.“ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - დამკვეთსა და შემსრულებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2.“ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამკვეთმა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3.“დღე“,“კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4.“დამკვეთი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5.“შემსრულებელი“ - პირი, რომელიც, ახორციელებს მომსახურეობას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6.“საქონელი“ - ხელშეკრულების მე - 2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სახანძრო სისტემის პროექტირება სახრჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება **(CPV71320000)**

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **- 3 700,00** (სამი ათას შვიდასი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დაგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1.შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების მიხედვით, მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

4.3. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაოდღისგანმავლობაში.

4.4. დაფინანსების წყარო: 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი .

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 .შემსრულებელი ვალდებულია დამკვეღის მხრიდან მოთხოვნილი რაოდენობის უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების და დასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით დამკვეთს წარუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

5.3.დამკვეთის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორი ან შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათ) სამუშაო დღის ვადაში.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ჯვარი, ყაზბეგის №2

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს მოაწოდოს ხელშეკრულებაში მითითებული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. იგი პასუხისმგებელია შესრულებული სამუშაოს ხარისხზე;

7.2. შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. დამკვეთი ვალდებულია:

7.3.1. უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

7.4. დამკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დამკვეთისათვის მიწოდებისას ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს გაწეული სამუშაოს წინამდებარე ხელშეკრულებაში გათვალისიწნებულ პირობებთან შესაბამისობას ამასთანავე, სამუშაოების სრულყოფილად დასრულების შემდგომ მიმწოდებელი და ხელშეკრულების პირობების კონტროლის განმახორციელებელი პირი/პირები ერთობლივად ამოწმებენ სისტემი გამართულ მუშაობას და მიღებულ შედეგებს ხელშეკრულების პირობების კონტროლის განმახორციელებელი პირი/პირები ადასტურებს შესაბამისი აქტით.

8.3. შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს შემსრულებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული

9 .ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, დამკვეთი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს შემსრულებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესრულებული სამუშაოს ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.2. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არა ჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%- ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით, დამკვეთი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ პუნქტის 9.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.

9.4. დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არა უგვიანეს 1 თვის ვადისა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ანუ არ უარესდება ხელშეკრულების პირობები დამკვეთისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქოკოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამურიღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულები სღირებულების 10%-ზემეტი ოდენობით.

10.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 მაისამდე.

13.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

14. ზოგადი დებულებები

14.1. არც ერთ მხარეს არა ქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

14.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.3. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

დამკვეთის მხრიდან:	**შემსრულებლის მხრიდან:**
სსიპ კოლეჯი „ლაკადა' -ს	**ი/მ „ონისე გულორდავა" წარმომადგენელი**
დირექტორის მ/შ: თეანა ქუხილავა	**ონისე გულორდავას**
---	Onise Gulordava 19001026570 Digitally signed by Onise Gulordava Date: 2023.04.10 13:46:00